

დებულება

მუხლი 1. ჟურნალის მისია

- ა) „ჟურნალის სახელწოდებაა: „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, ინგლისურ ენაზე “Constitutional Law Review“.
- ბ) ჟურნალი არის ორენოვანი, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. ჟურნალი გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და იყენებს შემდეგ საერთაშორისო სტანდარტულ სერიულ ნომერს: ISSN-1987-8540 (საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, ორენოვანი გამოცემა).
- გ) ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ, ასევე, სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დამატებით სპეციალური ნომრის გამოცემა.
- დ) ჟურნალის თემატიკა მოიცავს კონსტიტუციურ სამართალს, ადამიანის უფლებათა სამართალს და სხვა მომიჯნავე თემატიკას. ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიურ მსჯელობას და დისკუსიას ამ მიმართულებით, გაზარდოს ინფორმირებულობა თანამედროვე გამოწვევების და ტენდენციების, საქართველოს და სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე საერთაშორისო და რეგიონალური სასამართლო ან/და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.
- ე) ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.clr.iliauni.edu.ge

მუხლი 2. ჟურნალის ხელმისაწვდომობა

ჟურნალი გამოიცემა როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონულად და ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.clr.iliauni.edu.ge

მუხლი 3. ჟურნალის მართვა

ჟურნალის მართვას უზრუნველყოფს ჟურნალის სარედაქციო საბჭო, მრჩეველთა საბჭო და მთავარი რედაქტორი.

მუხლი 4. ჟურნალის სარედაქციო საბჭო

ა) სარედაქციო საბჭო შედგება არანაკლებ 5 წევრისგან და მასში შედის მთავარი რედაქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, სამართლის დარგის მოწვეული ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტები. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბჭო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო.

ბ) სარედაქციო საბჭოს წევრები მტკიცდება 5 წლის ვადით (გარდა ჟურნალის მთავარი რედაქტორისა და ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანისა).

ბ) სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელობს სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა სარედაქციო საბჭოს წევრთაგან, 3 წლის ვადით.

დ) სარედაქციო საბჭო:

1. მთავარი რედაქტორის წარდგინებით, ამტკიცებს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის დოკუმენტს.
2. მთავარი რედაქტორის წარდგინებით, შეარჩევს და განსაზღვრავს თითოეული გამოცემისთვის სასურველ თემატიკას.
3. მთავარი რედაქტორის წარდგინებით, ადგენს აკადემიური ნაშრომების მიღებისა და შერჩევის კრიტერიუმებს.
4. განიხილავს შემოსულ აკადემიურ ნაშრომებს, წარმოდგენილ რეცენზიებს და იღებს გადაწყვეტილებას ჟურნალში მათი გამოქვეყნების შესახებ.
5. იკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ. ასევე, შესაძლებელია, სარედაქციო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღოს ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით. ელექტრონული გამოკითხვა გულისხმობს საბჭოს სხდომის გამართვას და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტას საბჭოს წევრთა მიერ ელექტრონული მიმოწერის მეშვეობით, რის შედეგადაც, დგება ელექტრონული გამოკითხვის ოქმი. ელექტრონული გამოკითხვის ოქმში მოცემულია საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები, ასევე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია. ელექტრონული გამოკითხვის ოქმს ხელს აწერს სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე. ოქმს თან ერთვის სარედაქციო საბჭოს წევრების მიერ ელექტრონულად დაფიქსირებული პოზიციები.
6. გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება ან ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობს წევრთა არანაკლებ ნახევარზე მეტი.
7. ჟურნალის სარედაქციო საქმიანობა წარმართავს ამ დებულების და სარედაქციო საბჭოს მიერ მიღებული სხვა პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 5. ჟურნალის მრჩეველთა საბჭო

ა) ჟურნალის მრჩეველთა საბჭო შედგება არანაკლებ 7 წევრისგან. მრჩეველთა საბჭოს, შესაძლოა, ჰყავდეს საპატიო წევრები. საბჭოს წევრებად შესაძლებელია მოწვეულ იქნან დარგის აღიარებული ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტები. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბჭო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო.

ბ) მრჩეველთა საბჭო:

1. მონაწილეობს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების შემუშავებაში.
2. იღებს ინფორმაციას ჟურნალის მთავარი რედაქტორისგან ჟურნალის თითოეული გამოცემის თემატიკის, სტატიების რაოდენობის და მათი შინაარსის შესახებ.
3. ეცნობა სარედაქციო საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშს ჟურნალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
4. ხელს უწყობს ჟურნალის პოპულარიზაციას.

მუხლი 6. ჟურნალის მთავარი რედაქტორი და აღმასრულებელი რედაქტორი

ა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი შეარჩევს და ამტკიცებს ჟურნალის მთავარ რედაქტორს.

ბ) მთავარი რედაქტორი:

1. წარმოადგენს ჟურნალს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
2. პასუხისმგებელია სარედაქციო საბჭოს გამართულ ფუნქციონირებაზე.
3. პასუხისმგებელია ჟურნალის აკადემიურ ხარისხსა და შინაარსობრივ საკითხებზე.
4. პასუხისმგებელია ჟურნალის გამოცემაზე.
5. პასუხისმგებელია ჟურნალში განთავსებული აკადემიური ნაშრომების თარგმნაზე.
6. ბრმა მიმოხილვის პროცესის გამართულობაზე.
7. საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციის წარმართვაზე.
8. სხვა ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფაზე.

მუხლი 7. ჟურნალის პერსონალი

ჟურნალს ასევე ჰყავს დამკაბადონებელი, სტილისტი, კორექტორი და სხვა ტექნიკური პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟურნალის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების მომზადებას გამოსაცემად.

მუხლი 8. ჟურნალში განსათავსებელი მასალების მიღების წესი

ა) თითოეული ნომრისთვის, ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ა ნაშრომის მიღება და გამოქვეყნება ხორციელდება ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მიერ შემუშავებული სარედაქციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული წესით.

ბ) ჟურნალში წარმოდგენილი ნაშრომები უნდა შეესაბამებოდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ აკადემიური სტილის სახელმძღვანელოს (<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2588.pdf>).

მუხლი 9. სხვა საკითხები

ჟურნალისთვის ნაშრომების შერჩევის, განთავსების და სხვა წესები განისაზღვრება ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მიერ შემუშავებული სარედაქციო პოლიტიკის დოკუმენტით.